



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №46

აბაშა, 2018 წლის 22 ოქტომბერი

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის # 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1.

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის #44 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 05/09/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.110.016372) შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) დადგენილების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) საბჭოს წევრის მიერ სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

ბ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

გ) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გამოაცხადა გარდაცვლილად ან ცნო მხარდაჭერის მიმღებად;

დ) პირადი განცხადება;

ე) პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეწყვეტა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად;

ვ) პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ზ) გარდაცვალება.“.

### მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.